

## სკოლა პოლიგლოტის მდგრადი განვითარების გეგმა

სკოლა პოლიგლოტი, როგორც პასუხისმგებელი საგანმანათლებლო დაწესებულება, სრულად აღიარებს მდგრადი განვითარების მნიშვნელობას და თავისი მისიის განხორციელებისას, მუდმივად ისწრაფვის ბალანსის დამყარებისკენ გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით განზომილებებს შორის. ჩვენი მიზანია არა მხოლოდ მოსწავლეთა განათლებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა, არამედ მათი მოტივირება, რომ აქტიურად შეუწყონ ხელი გლობალური პრობლემების გადაჭრას. პოლიგლოტის მდგრადი განვითარების გეგმა წარმოადგენს ჩვენი ვალდებულების დადასტურებას, შევქმნათ მდგრადი და სამართლიანი მომავალი ჩვენი საზოგადოების და ფართო სამყაროსთვის.

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა თანაზომიერად ეხება მდგრადი განვითარების 3 განზომილებას (ESG):

- გარემოსდაცვითს; (Environmental)
- სოციალურს; (Social)
- მმართველობითს; (Governmental)

აღსანიშნავია, რომ ჩვენი საქმიანობა შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ მდგრადი განვითარების 17 მიზანს (SDG Goals). ეს ყოველივე არამხოლოდ სკოლის წარმატებას უწყობს ხელს, არამედ ასახავს მისი აქტივობების მნიშვნელობას გლობალურ კონტექსტში. პოლიგლოტისთვის, როგორც საგანმანათლებლო სფეროში არსებული ორგანიზაციისთვის მეტად მნიშვნელოვანია საქმიანობის შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან, როგორცაა :

მიზანი 4: ხარისხიანი განათლება

- სკოლის მისიაა უზრუნველყოს ხარისხიანი და ინკლუზიური განათლება, და ხელი შეუწყოს ყველა ასაკის მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებას.

მიზანი 3: ჯანმრთელობა და კეთილდღეობა

- სკოლა ხელს უწყობს ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფას. პოლიგლოტში აქტიურად ხდება ჯანსაღ ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. მეტიც, გვყავს ფსიქოლოგი, რომელიც მუდამ ზრუნავს მოსწავლეთა ემოციურ მხარდაჭერასა და მენტალურ ჯანმრთელობაზე.

მიზანი 5: გენდერული თანასწორობა

- სკოლა პოლიგლოტის მიზანია მაქსიმალურად ხელი შეუწყოს გენდერულ თანასწორობას.

მიზანი 10: უთანასწორობის შემცირება

- სკოლის მიზანია საკუთარი ინკლუზიური პოლიტიკით უთანასწორობის შემცირება. პოლიგლოტის პროგრამები და აქტივობები დაფუძნებულია სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპებზე.

#### მიზანი 11: მდგრადი ქალაქები

- სკოლის მისიაა შექმნას მდგრადი, უსაფრთხო და გამართული გარემო, რაც თავისთავად მოიცავს რესურსების ეფექტურ მართვას.

#### მიზანი 16: მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები

- სკოლის მისიაა ხელი შეუწყოს მშვიდობის, სამართლიანობისა და სიძლიერის ჩამოყალიბებას, რაც მოიცავს ეთიკურ ქცევასა და გამჭვირვალობას.